# სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

## ბრძანება № 88

## 2015 წლის 17 ივნისი

## ქ. თბილისი

**"ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2015 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამა და პირობებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2015 წლის 12 ივნისის №82 ბრძანებაში შეცდომის გასწორების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და მაია ქაჯაიას სამსახურებრივი ბარათის (N533042) შესაბამისად

**ვბრძანებ:**

1. გასწორდეს შეცდომა "ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2015 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამა და პირობებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) გენერალური დირექტორის 2015 წლის 12 ივნისის №82 ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ დანართი 2-ის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტში და სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირება უნდა დაიწყოს 2015 წლის 5 ოქტომბრიდან და უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2016 წლის 15 ნოემბრისა;
2. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

მანანა მიქაბერიძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი